

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება



GEORGIAN BEEKEEPERS UNION



პარაზიტი ვაროას
სინდრომი


PMS დაავადებას მივყავართ ფუტკრის ოჯახის მდგომარეობის გაუარესებასთან, საბოლოოდ კი დაღუპვამდე. ჯერ არ არის აღმოჩენილი პათოგენი, რომელიც იწვევს ქვემოთ აღნიშნულ სინდრომებს. თუმცა სინდრომების აღმოჩენისას ყოველთვის ვხვდებით ვაროას მომატებულ რაოდენობას ფუტკრის ოჯახში.

ვაროა გადაუბეჭდავ ფუმფლზე

როცა ვაროა ფუტკრის ოჯახში აღწევს მაღალ ნიშნულამდე, ფუტკრის ბარტყი ავლენს რიგი დაავადების სიმპტომებს, რომელიც ცნობილია როგორც „პარაზიტი ვაროას სინდრომი“.




1




სიმპტომები:

- ვაროას ტკიპის დიდი მაჩვენებელი;
- ფუტკრის რაოდენობის შემცირება, შემდგომ გაქრობა;
- თავგადააქმულ ბარტყიანი და დაუსუფთავებელი უჯრები;
- ვაროა შეიმჩნევა გადაუბეჭდავ ფუმფლშიც და ჩარჩოებზეც;
- კვერცხის და განვითარებადი ფაზების ბარტყის არ არსებობა (სტრესული ვითარებიდან გამომდინარე, დედა წყვეტს კვერცხდებას);
- ფუტკრები დეფორმირებული ფრთებით DWV;
- მოზრდილი ფუტკრები დაბლა დახობავენ;
- ტრაქეალური ტკიპა შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ შეიძლება არც იყოს;
- ჭრელი ბარტყი - ვაროათი დაავადება იმდენად ძლიერია რომ ფუტკრები იწყებენ ჭუპრების ღრღნას და წყვეტენ ბარტყის განვითარებას (ფოტო 2.);
- დაავადებული ფუმფლი C ფაზიდან ჭუპრობამდე ფაზაში;
- ფუმფლის ნარჩენები ადვილად სცილდება უჯრის კედლებს;
- სუნი შეუმჩნეველია, მანამ სანამ თავგადააქმული ბარტყი არ დაიწყებს ხრჩნას.



პარაზიტი ვაროას სინდრომით დაავადებული ბარტყიანი ჩარჩო. ყურადღება მიექცეით წრელი ბარტყის სტრუქტურას. ვაროათი დაავადება იმდენად მალალ ნიშნულზეა, რომ ფუტკრები იწყებენ ჭუპრების ღრღინას და წყვეტენ განვითარებას.




როცა თქვენ ხედავთ თავგადაჭმულ ჭუპრებს (ბევრ უჯრებს), ეს ნიშანია, რომ ოჯახში ვაროას რაოდენობა დასაშვებ მაქსიმუმს გადაცდა და ფუტკრის ოჯახი დალუპვის ზღვარზეა


სინდრომი შეინიშნება როგორც გადაუბეჭდავ, ასევე გადაბეჭდილ ბარტყთან. უჯრის ცვილის საფარი დაავადების შემთხვევაში გამოიყურება ჩაზნექილად, მუქი ფერის და ჩაჩვრეტილი, როგორც გვხვდება ამერიკული სიდამპლის ჭუპრამდე ფაზაში. თუმცა PMS-ით ავადდება მხოლოდ ასაკოვანი ფუმფლი და ჭუპრამდე ფაზაში მყოფები. ფუმფლი ჭუპრამდე გართხმულია უჯრის ქვედა ნაწილზე. დაავადებული ფუმფლიც და ჭუპრამდე ფაზაში მყოფების შეფერილობაც იცვლება (ფოტო 4.)




პარაზიტი ვაროას სინდრომით დაავადებული ფუმფლი ჭუპრამდე ფაზაში გართხმულია უჯრის ქვედა ნაწილზე.




პარაზიტი ვაროას სინდრომით დაავადებული ფუმფლი სპირალურად დახვეული მიიწევს უჯრის კედლებზე



ფუმფლი დაგრეხილი უჯრის შესასვლელთან



გამომშრალი ფუმფლი უჯრის შესასვლელთან



ჩხირით ფუმფლის ნარჩენები იოლად ცილდება უჯრის კედლებს

დაავადებული ფუმფლი სპირალურად დაგრეხილი მიიწევს უჭრის კედლებზე, როგორც ევროპული სიღამპლით დაავადებული ფუმფლი (ფოტო 5.)

ამერიკული სიღამპლისგან განსხვავებით, PMS-ის დროს ფუმფლის ნარჩენების სრული მოცილება შეუძლებელია ჩხირით, ყოველგვარი წელვადობის გარეშე (ფოტო 8.)



ფოტო 9. ასე გამოიყურება PMS-ით დაავადებული ოჯახი, როცა ოჯახში ფუტკრების რაოდენობა შემცირდა. ამ სტადიაში თქვენ უკვე ვერ ნახავთ ბევრ ვაროას (მიგრაცია). ოჯახში ასევე ძალიან ცოტა ღია ბარტყია. ფუტკრების რაოდენობა ძალიან შემცირებულია. ამ სტადიაზე PMS ძალიან წააგავს ევროპულ სიღამპლეს. როცა PMS-ის სინდრომი ჩნდება, ოჯახი ახლოსაა დაღუპვასთან. თუმცა, თუ დაინიშნება ვაროას მიმართ გააზრებული მკურნალობა, თუ ოჯახს მივანოდებთ ცილოვან საკვებს და იმუნიტეტის გამაჯანსაღებელ საშუალებებს (მაგალითად: პრობიოტიკი), ოჯახი გადარჩება და PMS-ის სინდრომი გაქრება.

პროფილაქტიკური ღონისძიებები:

- კარგი საწარმოო პრაქტიკის დანერგვა
- ვაროას რაოდენობის კონტროლი
- შავი ფიჭების გადადნობა
- ჰიგიენური ფუტკრის ოჯახების ყოლა
- სრულფასოვანი კვება (კარგი თაფლოვანი მცენარეების ბაზა საფუტკრის გარშემო)

თქვენი ზედგანილია ავსახეთი პაპავას მიერ

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება.
+995 599 99 87 98 / geobeekeepers@gmail.com
WWW.GEOBEEKEEPERS.GE